ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9726040001
თარიღი:09/02/2026

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომა N-2

დ.ლენტეხი. 5 თებერვალი.2026წ.

მიმდინარე წლის 5 თებერვალს დღის 12 საათზე გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით პირველი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 16 (თექვსმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა 7(შვიდი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ: ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი გიორგი გაზდელიანი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების - იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე და საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩანქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 24კვ.მ ფართის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ.**

   /მომხს: მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ტარიელ აფაქიძე/

2. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2025 წლის გეგმა-პროგრამების დაზუსტება.**

   /მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტ. ჩანქსელიანი/

შენიშვნა დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით არ ყოფილა.

დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1.მოისმინეს: პირველ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ტარიელ აფაქიძემ. აღნიშნა, რომ 2025 წელს დადებული ხელშეკრულების

თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველ სართულზე განთავსებული 24 კვ.მ ფართი 2026 წლის პირველ იანვრამდე უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადასცა სსიპ ,,სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის , რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ცენტრის სამხედრო აღიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლენტეხის მუნიციპალური განყოფილებას. აღნიშნულ ხელშეკრულების ვადა ამოიწურა და თავდაცვის სამინისტროს 2025 წლის 24 -დეკემბრის N-MOD 5 25 01765294 წერილის გათვალისწინებით უნდა გავუგრძელოთ ხელსეკრულება. შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი.

პროექტის თანახმად მიეცეს თანხმობა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას განახორციელოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის პირველ სართულზე განთავსებული 24 კვ.მ ფართის, სსიპ ,,სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების იმერეთის , რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონალური ცენტრის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლენტეხის მუნიციპალური განყოფილებისათვის **2027 წლის პირველ იანვრამდე უსასყიდლო უზუფრუქტის წესით გადაცემაზე.**

საფუძველი: თავდაცვის სამინისტროს 2025 წლის 24 -დეკემბრის N-MOD 5 25 01765294 წერილი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: მიეცეს თანხმობა მერს - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 24კვ.მ ფართი უსასყიდლო უზუფრუქტით გადასცეს სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ლენტეხის მუნიციპალური განყოფილებას.

2.მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ე. ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ მერიიდან შემოვიდა მომართვა 2025 წლის გეგმა-პროგრამების დაზუსტებაზე.

აზრი გამოთქვა: საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ტ. ჩანქსელიანმა გააკეთა სრული განმარტება საკითხზე. აღნიშნა რომ ჯ. მეშველიანის სახ. კულტურის ცენტრს კულტურული ღონისძიებებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის კულტურული ღონისძიებების მუხლიდან დაემატა 14500 ლარი, ო. ლიპარტელიანის სახელობის ოლიმპიური მომზადების ცენტრს სპორტული ღონისძიებების მუხლიდან დაემატა 2390 ლარი სპორტული ღონისძიებებისათვის, კულტურის გაერთიანებას კულტურული ღონისძიებების მუხლიდან დაემატა 30500 ლარი კულტურული ღონისძიებებისათვის. იყო ცვლილება სხვა აიპიების გეგმა-პროგრამებშიც. წლის განმავლობაში გეგმა პროგრამების სუბსიდიებზე დამატებული თანხები 2025 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბოლო ცვლილებაში ასახულია შესაბამისი ა(ა)ი პირების ბიუჯეტის ხარჯებში მუხლების მიხედვით . ცვლილება მოხდა დეკემბრის ბოლო რიცხვებში და ვერ მოხერხდა ა(ა)ი პირების გეგმა პროგრამების ცვლილების დამტკიცება. აქედან გამომდინარე დამტკიცება გვიწევს 2026 წლის თებერვლის თვეში.

საკითხთან დაკავშირებით დაისვა შეკითხვები. კერძოდ იყო შეკითხვები საშტატო ნუსხების დაზუსტებაზე , შინაგანაწესზე და ბრძანებების მოწესრიგებაზე.მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა ნინო ბენდელიანმა - 2026 წლის გეგმა-პროგრამების განხილვის დროს გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გაუქმდა სოციალური პროგრამა და ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა უმუშევრად. შევეცადოთ დავასაქმოთ ადგილობრივი მაცხოვრებლები.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა ზურაბ ონიანმა- აიპიების ხელმძღვანელებმა თემის მაჟორიტარებს მოგვაწოდონ ზუსტი ინფორმაცია თემის მიხედვით დასაქმებულ პირებზე.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს წევრმა დავით ფურელიანმა - აიპიების საკითხი არის რთული საკითხი, მაგრამ ყველამ ერთად სამართლიანობის პრინციპის დაცვით უნდა დავაზუსტოთ ეს საკითხი.

აზრი გამოთქვა: სხდომის თავმჯდომარემ დავით პირველმა - მაქსიმალურად შევეცადოთ, რომ მომავალში კიდევ არ მოგვიწიოს ასე დაგვიანებით დაზუსტებული გეგმა-პროგრამების დამტკიცება. წლის ბოლოს ყოველთვის დასრულდეს ეს პროცესი.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -16

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ა(ა)ი.პირების 2025 წლის გეგმა-პროგრამების დაზუსტებული ვარიანტები.

სხდომის ბოლოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გაზდელიანმა სხდომის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფინანსთა სამინისტრომ ლენტეხის მუნიციპალიტეტს დაუმატა 3200000 (სამი მილიონ ორასი ათასი ლარი)ლარი. გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ ლენტეხი არის საზღვრისპირა რაიონი, რომ აქ ძალიან მაღალია მიგრაცია, მოსახლეობას ვერ ვთავაზობთ სხვა მოცემულობას და აუცილებელია აიპიების შენარჩუნება. მაგრამ ამავე დროს აღნიშნა, რომ აუცილებლად დაიხვეწება აიპიები, შექმნილია მერიაში შესაბამისი კომისია და მოხდება შეთავსებების გაშიფრვა და ყველა დასაქმებულის იდენტიფიცირება.

მერმა ილაპარაკა სოფლის პროგრამებზე. აღნიშნა, რომ დიდთოვლობამ მოსახლეობას და ადგილობრივ ხელმძღვანელობას შეგვიქმნა სერიოზული პრობლემები და დაგვანახა ტექნიკის შეძენის აუცილებლობა. მივედით იმ გადაწყვეტილებამდე, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი მთლიანი თანხით შეძენილი იქნას სამი ერთეული ტექნიკა, რომელიც ბევრ პრობლემას მოუხსნის მუნიციპალიტეტს.

ამავე დროს მადლობა გადაუხადა მაჟორიტარ დეპუტატებს თოვლწმენდით სამუშაოებში აქტიურად ჩართულობისთვის.

საკრებულოს წევრებმა ცნობად მიიღეს მერის მიერ მიწოდებული ინფორმაცია.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა დასრულდა 14 საათზე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი